საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/279
16/01/2026

279-01-2-202601161729

ი/მ ლუკა სულავას (01008059549)

მის: ქ. თბილისი, დ. არაყიშვილის ქ., N 7, ბ. 4ა

ტელ: 551 533 509

ელ-ფოსტა: lukasulavasup@gmail.com

როგორც თქვენთვის ცნობილია, სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2026 წლის 16 იანვრის №04/27 ბრძანებით, სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ დაიწყო საქმის შესწავლა მოვაჭრის - ი/მ ლუკა სულავას (პ/ნ 01008059549) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ„ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის თაობაზე.

სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ (შემდგომში - პროცედურა) მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია ერთგვაროვან/მსგავს საკითხთან დაკავშირებით, ერთი მოვაჭრის მიმართ სხვადასხვა პირის მიერ წარმოდგენილ ერთზე მეტ განცხადებასთან დაკავშირებით დაიწყოს საქმის შესწავლა ერთიანი პროცედურის ფარგლებში. ხოლო, თუ საქმის შესწავლა უკვე დაწყებულია – მიღებული განცხადებები ჩართოს მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, თუკი ეს შესაძლებელია საქმის შესწავლისათვის დადგენილი ვადის გათვალისწინებით, აღნიშნულის საფუძველზე, სააგენტომ 2026 წლის 16 იანვრის №04/27 ბრძანებით დაწყებულ საქმის წარმოებაში ჩართო მოქალაქე 2026 წლის 09 იანვრის №01/106 განცხადება.

კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე განმცხადებელს უფლება აქვს, სააგენტოს წარუდგინოს განცხადება მომხმარებლის უფლებების სავარაუდო დარღვევის შესახებ.

პროცედურის მე-8 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, მოვაჭრეს უფლება აქვს: ა) ჰყავდეს წარმომადგენელი; ბ) სააგენტოს წარუდგინოს პოზიცია, ინფორმაცია ან/და მტკიცებულებები საქმის შესწავლის ნებისმიერ ეტაპზე; გ) გაეცნოს საქმის მასალებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლით დადგენილი წესით; დ) მოითხოვოს ინფორმაციის/მტკიცებულებების წარდგენის ვადის გახანგრძლივება; ე) განაცხადოს აცილება სააგენტოს თანამშრომლის მიმართ.

პროცედურის მე-7 მუხლის საფუძველზე, სააგენტო საქმეს შეისწავლის საქმის შესწავლის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში. საქმის შესწავლა, მისი მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 3 თვისა, რის შესახებაც ეცნობება როგორც განმცხადებელს, ასევე მოვაჭრეს.

ასევე, განგიმარტავთ, რომ პროცედურის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად უფლებამოსილია, საქმის შესწავლის მიზნით განმცხადებლისგან ან/და მოვაჭრისგან გამოითხოვოს ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაცია).

აღნიშნულის შესაბამისად, გთხოვთ, 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში წარმოგვიდგინოთ პოზიცია განცხადებაში დაფიქსირებულ გარემოებებთან დაკავშირებით.

დანართი: „10” ფურცელი.

პატივისცემით,

ამათი ამაროვი

დეპარტამენტის უფროსი - მ.შ.
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი

საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/27
16.01.2026

ბრძანება

27-01-4-202601161122

განცხადებების საფუძველზე საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის 1-ელი პუნქტის და მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 30-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-6 მუხლის 1-ელი, მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტების საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. [illegible]წლის 03 დეკემბრის №01/7466 განცხადების და [illegible]025 წლის 13 იანვრის №01/234 განცხადების საფუძველზე, დაიწყოს საქმის შესწავლა მოვაჭრე - ი/მ ლუკა სულავას (პ/ნ 01008059549) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე.
2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.
3. საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე ეცნობოთ მხარეებს.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსის 2026 წლის 15 იანვრის №03/29 მოხსენებითი ბარათი.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე